პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 148 (1318) ○ ხუთშაბათი, 11 დეკემბერი, 1958 წ. ○ გამოდის მე-15 წელი. ○ ფასი 30 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ცამეტი გუნდით

მოსკოვში, „კრილია სოვეტოვის" სპორტულ დარბაზში დამთავრდა ჩვენი ქვეყნის მორიგი პირველობა მხატვრულ ტანვარჯიშში, რომელშიც სპორტსაზოგადოებათა 13 გუნდი მონაწილეობდა.

შეჯიბრების პირველი დღის შემდეგ აშკარა გახდა, რომ გუნდურ ჩათვლაში გამარჯვების ყველაზე მეტი შანსი ჰქონდათ „ბურევესტნიკის" II და „შრომითი რეზერვების" გუნდებს. სსრ კავშირის ექს-ჩემპიონმა ლ. ნაზმუტდინოვამ („შრ. რეზერვები"), რომელიც უკანასკნელ ვარჯიშამდე (ხტომები) სათავეში ედგა შეჯიბრებას, ამ სახეობაში მიიღო ნული შეფასება და ათეულშიც ვერ მოხვდა. ამის შედეგად გუნდური პირველობა წილად ხვდა „ბურევესტნიკს".

პირად პირველობაზე სავალდებულო ვარჯიშების შემდეგ ყველაზე კარგი შედეგი ჰქონდა ლ. სავინკოვას („ტრუდი"), ნებისმიერი ვარჯიშების შესრულების შემდეგ წინ წავიდნენ ნაზმუტდინოვა და ე. ბირიუკი („ბურევესტნიკი"). პირველმა ცუდად შეასრულა ხტომები და პირველობა დარჩა ბირიუკს — 38,4 ქულა.





სურათებზე: სსრ კავშირის პირველობა მხატვრულ ტანვარჯიშში. კიეველი ო. კლოჩკოვა (ზევით) და თბილისელი ნ. ხერხეულიძე ასრულებენ ვარჯიშს.

## მიიღეთ მონაწილეობა კონკურსში!

როგორც ცნობილია, 1960 წლის თებერვალში ამერიკის შეერთებულ შტატებში (სკვო-ველში) ჩატარდება ზამთრის VIII ოლიმპიური თამაშები, რომლის პროგრამაშია: ციგურებით რბენა, ფიგურული სრიალი, ჰოკეი, სათხილამურო რბოლა, ზამთრის თანამედროვე ორჭიდი, თხილამურებით ხტომა ტრამპლინიდან, სათხილამურო ორჭიდი და სამთო-სათხილამურო სახეობანი.

მიმდინარე ზამთრის სპორტული სეზონი გადამწყვეტ ეტაპს წარმოადგენს ზამთრის ოლიმპიური თამაშებისათვის მოსამზადებლად. ჩვენი ქვეყნის ფიზკულტურული ორგანიზაციების წინაშე დგას სერიოზული ამოცანა: მოამზადონ მაღალი კლასის სპორტსმენები ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობისათვის.

სათხილამურო და საციგურო სპორტის საკავშირო სექციების პრეზიდიუმებმა გამოაქვეყნეს ღია კონკურსის პირობები, რომლის მიზანია გამოავლინოს კანდიდატები სსრ კავშირის ნაკრებ გუნდში მონაწილეობისათვის.

ჩვენს რესპუბლიკაში კულტივირებულია სათხილამურო სახეობები, გვყავს მაღალი თანრიგის სპორტსმენები, ოსტატები. ამდენად, საქართველოს სპორტსმენებსაც შეუძლიათ თავიანთი წვლილი შეიტანონ საბჭოთა გუნდის წარმატებაში ოლიმპიურ თამაშებზე.

ღია კონკურსი სათხილამურო სპორტში ეწყობა ორ ეტაპად.

**პირველი ეტაპი.** სპორტსმენები, რომლებიც სათხილამურო სპორტის ყველა სახეობაში საზოგადოებათა და უწყებათა 1959 წლის საკავშირო პირველობაზე დაიკავებენ პირველ-მესამე ადგილებს, წარმოადგენენ კანდიდატებს კონკურსის მეორე ეტაპში მონაწილეობისათვის.

**მეორე ეტაპი.** სსრ კავშირის პირველობის შედეგების მიხედვით ხდება საუკეთესოთა შერჩევა, რომლებიც ჩაირიცხებიან სსრ კავშირის ნაკრები გუნდის კანდიდატებად ოლიმპიური თამაშებისათვის.

სამისოდ ვაჟებმა სათხილამურო რბოლაში 15, 30 და 50 კილომეტრზე უნდა დაიკავონ I-XV ადგილები, ან გამარჯვებულის დროსთან შეფარდებით აჩვენონ შედეგი არა უარეს: 1 წუთი 30 წამი — 15 კილომეტრზე, 3 წუთი — 30 კილომეტრზე, 7 წუთი — 50 კილომეტრზე. ქალებმა 5 და 10 კილომეტრზე უნდა დაიკავონ I-X ადგილები და გამარჯვებულის დროსთან შეფარდებით აჩვენონ შედეგი არა უარეს: 1 წუთი — 5 კილომეტრზე, 2 წუთი — 10 კილომეტრზე.

ზამთრის თანამედროვე ხუთჭიდში სპორტსმენებმა უნდა დაიკავონ I-X ადგილები, ან ამავე შეჯიბრებაზე სროლაში აჩვენონ არა ნაკლებ 17 მოხვედრა, ხოლო სათხილამურო რბოლაში — არა უარეს 3 წუთით დაბალი შედეგი გამარჯვებულის დროსთან შეფარდებით.

ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომასა და ორჭიდში სპორტსმენებმა უნდა დაიკავონ I-X ადგილები. მხტომელებმა ნახტომის სიგრძის მიხედვით უნდა აჩვენონ ტრამპლინის სიმძლავრის შესაბამისი შედეგი და 18,5 ბალი ერთ-ერთი ნახტომის ტექნიკის მიხედვით (დაცემას არ უნდა ჰქონდეს ადგილი). ორჭიდელებმა ნახტომის სიგრძის მიხედვით უნდა აჩვენონ ტრამპლინის სიმძლავრის შესაბამისი შედეგი და 17 ბალი ერთ-ერთი ნახტომის ტექნიკის მიხედვით (დაცემას არ უნდა ჰქონდეს ადგილი).

სამთო სახეობებში (სლალომი, გიგანტური სლალომი და სწრაფდაშვება) უნდა დაიკავონ I-VIII ადგილები, ხოლო ქალებმა—I-VI ადგილები.

## მოჭადრაკეებმა უნდა გაამართლონ იმედები

სსრ კავშირის ხალხთა მეორე სპარტაკიადის პროგრამაში შეტანილ იქნა ჭადრაკი. ეს ახალ და სერიოზულ ამოცანებს სახავს ქართველ მოჭადრაკეთა წინაშე. მომავალ წელს მათ თავიანთი წვლილი უნდა შეიტანონ ჩვენი რესპუბლიკის საერთო წარმატებაში სპარტაკიადაზე. ქართველ მოჭადრაკეებს შესწევთ უნარი ღირსეულად გაამართლონ საქართველოს სპორტული საზოგადოებრიობის ნდობა და იმედი. მათ აქვთ სამისო მონაცემები.

ქართველმა მოჭადრაკეებმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს უკანასკნელ წლებში. ნიჭიერმა ოსტატმა ბ. გურგენიძემ ორჯერ მიიღო მონაწილეობა საბჭოთა კავშირის პირველობის ფინალში, შესანიშნავად ითამაშა სტუდენტ-მოჭადრაკეთა მსოფლიო პირველობაზე, გამარჯვებით დააგვირგვინა თავისი პირველი გამოსვლა საერთაშორისო ასპარეზზე — სოფიის ტურნირზე. სამი წელია საბჭოთა და მსოფლიოს საჭადრაკო საზოგადოებრიობის ყურადღებას იქცევს სამი ქართველი „მუშკეტერი" — ნონა გაფრინდაშვილი, მანანა ტოგონიძე და ელისო კაკაბაძე. ისინი აჭარის ჩემპიონ ა. ჩაიკოვსკაიასთან ერთად „მიშსა ჰგვრიან" საჭადრაკო ბრძოლებში გამობრძმედილ ოსტატებს ამჟამად მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატში.

შემთხვევითი როდია, რომ თბილისში დაინიშნა საბჭოთა კავშირის XXVI საჭადრაკო ჩემპიონატი, რომელიც 1959 წლის იანვარში დაიწყება. ჩვენს დედაქალაქში ჩამოვლენ თანამედროვე ჭადრაკის თვალსაჩინო საბჭოთა მოჭადრაკეები (მ. ბოტვინიკის გარდა). ეს ტურნირი გადაიქცევა საქართველოს სპორტის მესვეურთა საორგანიზაციო უნარის შემოწმებად და ჭადრაკის შემდგომი განვითარების სტიმულად.

ჭადრაკი ჩვენს რესპუბლიკაში უდიდესი პოპულარობით სარგებლობს. საჭადრაკო კლუბები გაიხსნა თბილისში, ბათუმში, სოხუმში, ქუთაისში, ფოთში, ზუგდიდში და ა. შ. ჭადრაკს დაეთმო ოთახები ქარხანა-ფაბრიკებში, დაწესებულებებში. კლუბებთან მუშაობენ წრეები, ხოლო თბილისში განათლების განყოფილებასთან ორგანიზებულია ბავშვთა სპეციალიზებული საჭადრაკო სკოლა. ყოველწლიურად ეწყობა შეჯიბრებები, საჭადრაკო კომპოზიციის კონკურსები, რომლებიც მოჭადრაკეთა შემოქმედებითი ზრდის მძლავრ ბერკეტად გადაიქცა.

მაგრამ გაწეული დიდი მუშაობის მიუხედავად ჩვენი რესპუბლიკის საჭადრაკო საქმიანობაში არსებობს ხარვეზები, რომელთა დაუძლევლობა საგრძნობლად შეუშლის ხელს მოჭადრაკეთა გუნდს სპარტაკიადაზე წარმატებით გამოსვლაში. პირველ რიგში ეს ეხება თვით გუნდის საკითხს. მიმდინარე წელს საქართველოს ნაკრები მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის გუნდურ პირველობაში და მონაწილეობდა ერთობ არასახარბიელოდ. მატჩებში რიგასა და როსტოვის მოჭადრაკეებთან განვიცადეთ დამარცხებები. რით უნდა ავხსნათ ეს წარუმატებლობა? მთავარი მიზეზი თვით მოჭადრაკეებში უნდა ვეძიოთ. ისინი თითქმის არავითარ ყურადღებას არ უთმობენ თავისთავზე დამოუკიდებელ მუშაობას და კმაყოფილდებიან მხოლოდ ტურნირებში მონაწილეობით. მივიწყებულია მოჭადრაკეთა შემოქმედებითი ანგარიშების მოსმენა, რასაც გარკვეული სარგებლობა მოჰქონდა როგორც მომხსენებლის, ისე მსმენელთათვის. დროა დადგინდეს ნაკრების სტაბილური შემადგენლობა, რომელიც უნდა შეუდგეს სისტემატურ წვრთნას. ეს ძირითადად ეხება ვაჟთა კოლექტივს. როგორც ცნობილია, მოჭადრაკეთა გუნდში შედის 7 ვაჟი და 3 ქალი. ქალთა მხრივ საქართველოს ნაკრები ნამდვილად ერთ-ერთი უძლიერესი იქნება. ამიტომ საჭიროა ვაჟებმაც წამოიწიონ.

იმისათვის, რომ საქართველო, როგორც სპორტის სხვა სახეებში, ისე აქაც მოწინავე იყოს, საჭიროა მოგვარდეს მშობლიურ ენაზე სპეციალური ლიტერატურის გამოცემა. უამისობა განსაკუთრებით იგრძნობა პერიფერიებში. რატომ არ შეიძლება ბროშურების სახით გამოვცეთ ძირეული კოლექტივების საჭადრაკო სექციების მუშაობისათვის სახელმძღვანელო ლიტერატურა, მეთოდური წერილების კრებული და სხვ. სხვათა შორის, ლექციური პროპაგანდის მხრივაც სავალალო მდგომარეობა გვაქვს. აქ პირველ რიგში უნდა ვუსაყვედუროთ თვით მოჭადრაკეებს, რომლებიც პოლიტიკური და სამეცნიერო ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების წევრები არიან და უმოქმედობენ. მათ ელიან რაიონებში, სურთ მათთან შეხვედრა, მათგან სწავლა.

უნდა ვუსაყვედუროთ რესპუბლიკურ კლუბსაც, რომელიც ნაკლებად ეხმარება რაიონულ კლუბებს. ამას გარდა, მან შეიმუშავა საინტერესო ღონისძიებათა კალენდარი, მაგრამ რა ფასი აქვს მას, თუ იგი განუხორციელებელი დარჩება.

საერთოდ, როგორც რესპუბლიკური, ისე რაიონების კლუბების ხელმძღვანელებმა უნდა გამოაცოცხლონ მუშაობა. მაგალითად, ბათუმის საჭადრაკო კლუბში (დირექტორი თ. სლიუდენკო) ბევრი არაფერი არ კეთდება, ვერც მახარაძის კლუბის ხელმძღვანელი რ. ჭყონია დაიტრაბახებს კარგი მუშაობით. მათ მაგალითი უნდა გადაიღონ ზუგდიდის კლუბისაგან, სადაც აქტივის დახმარებით საინტერესო საქმიანობა სჩქეფს. ყველა ნაკლოვანებათა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. მათი რიცხვი საკმაოდ ბევრია. მათი დასაძლევად უნდა დავრაზმოთ მოჭადრაკეთა აქტივი, სექციები, ყველა, ვისაც შესტკივა გული საქართველოში ჭადრაკის განვითარებისათვის.

საქართველოს სპორტულ დელეგაციის წარმატებაში მოჭადრაკეებმაც უნდა შეიტანონ თავიანთი წვლილი! ასეთია საღლეისო ამოცანა.



სურათზე: 1958 წლის საბჭოთა კავშირის პირველობაზე სპორტულ ტანვარჯიშში საერთო მეორე ადგილზე გამოსული ს. მურატოვა დვირზე ვარჯიშის დროს.

ფოტო ე. დავთიანისა.



სპორტსაზოგადოება „გაჩთიადის" საჭადრაკო კლუბში საინტერესოდ მიმდინარეობს ამ საზოგადოების რესპუბლიკური პირველობა ჭადრაკში.

სურათზე: ერთ-ერთი ტურის დროს. წინა პლანზე ზის ზუგდიდელი მ. დემურია.
ფოტო ა. ვართანოვისა.

# ექნებათ სპორტული ბაზები

თელავის რაიონის სკოლებში მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდას 40 სპეციალისტი ემსახურება, მათ შორის 17 უმაღლესი განათლებითაა. რაიონში მუშაობს ბავშვთა სპორტული სკოლის 17 ჯგუფი. მიუხედავად ამისა, თელავის რაიონის სპორტსმენები წლების განმავლობაში რესპუბლიკურ შეჯიბრებებზე ცუდი მაჩვენებლებით გამოდიან. მიმდინარე წელსაც თელავის რაიონმა მოსწავლეთა რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე სპორტის 6 სახეობიდან მხოლოდ სამში შეძლო გუნდების გამოყვანა და მეორე ჯგუფის კოლექტივებს შორის მხოლოდ მე-7 ადგილი დაიკავა.

რესპუბლიკურ შეჯიბრებებზე ცუდი მაჩვენებლები აქვს თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზკულტურის კოლექტივსაც. სტუდენტთა რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე III ჯგუფში თელაველები ყველას ჩამორჩნენ და ბოლო ადგილზე გამოვიდნენ.

მოსწავლეთა და სტუდენტთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტმასობრივ მუშაობაში ძირითად ხელშემშლელ პირობას ბაზების უქონლობა წარმოადგენდა. ქალაქში არსებული ტანვარჯიშის ერთად-ერთი დარბაზი, რომელიც I საშუალო სკოლასთან იყო, ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნილებას.

მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისში განათლების სამინისტრომ შეამოწმა თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტმასობრივი მუშაობის დონე და ინსტიტუტის დირექციასთან ერთ... მუშაობის გაუმჯობესების მი... ნით გაატარა გადამჭრელი ღონ... ძიებანი: გადახალისდა შტა... და მწვრთნელთა შემადგენლ... საათობრივი ანაზღაურების წე... მოწვეულია მწვრთნელები კალ... ბურთში, ფარიკაობასა და სრ... ლაში.

ოქტომბერში ჩატარდა შ... საინსტიტუტო კროსი, რომელშ... მონაწილეობა მიიღო 300-მდე სტუ... დენტმა. მოეწყო სამატჩო შეხვე... რები თელავისა და თბილის... პუშკინის სახელობის პედაგოგიუ... რი ინსტიტუტების გუნდებს შო... რის კალათბურთში, ფრენბურთ... და ფარიკაობაში.

საგრძნობლად გარდაიქმნა სპორტ... მასობრივი მუშაობა რაიონის სა... შუალო სკოლებშიც. გარდა ამ სპორტული დარბაზისა, რომელიც ამჟა... მად თელავის I და II საშუალო... სპორტულ სკოლებს აქვთ, აშენდ... კიდევ ორი დარბაზი და სპორტთამ... შობათა მოედნები, მწყობრში ჩა... დგა მე-3 საშუალო სკოლის ახალ... დარბაზი. სკოლის ეზოში მთავ... დება ფრენბურთისა და კალათ... ბურთის კომბინირებული მოედნ... მშენებლობა.

მე-4 საშუალო სკოლასთან აშენ... და და უახლოეს ხანში საექსპლოატაციოდ გადაეცემა სპორტულ... დარბაზი, რომლის მშენებლობას აწარმოებს საშეფო ორგანიზაცია — ადგილობრივი მრეწველობის კომბინატი.

**შ. მუხიგულაშვილი**



სურათზე: „დინამოს" ზამთრის საცურაო აუზი. ნაყოფიერი წვრთნის შემდეგ სპორტსმენი გოგონები ისვენებენ.
ფოტო
დ. ზალდასტანიშვილისა

# გაგვიზიარეთ თქვენი „გამოცდილება"

**ფელეტონის მაგიერ**

ქარელშიც ჰქონდათ სპორტული ბაზა არც თუ მაინც და მაინც ბრწყინვალედ მოწყობილი ფეხბურთისა და კალათბურთის მოედნებით. აქ ვარჯიშობდნენ, ატარებდნენ შეჯიბრებებს, სამატჩო შეხვედრებს, ხან აგებდნენ, ხან იგებდნენ და როგორც შეეძლოთ, ისე სრულყოფდნენ ტექნიკას.

ფიზკულტურული ცხოვრება აქ თავისი გზით ალბათ კიდევ დიდხანს ივლიდა, რომ ქარელში არ გამოჩენილიყო ადამიანი, რომელმაც ყველაფრის თავდაყირა დაყენება მოინდომა.

რამდენიმე წლის წინათ ქარელში, სტადიონის მახლობლად საფუძველი ჩაეყარა „ცეკავშირის" ხე-ტყის სარეალიზაციო ბაზას. სპორტსმენებს გაეხარდათ მეზობლის გამოჩენა, გულდიად შეხვდნენ მას, მაგრამ მათს სიხარულს მალე შეაკვეცეს ფრთები. სარეალიზაციო ბაზა, რომელიც პირველ ხანებში კმაყოფილი იყო რაიონის ხელმძღვანელობის მიერ მისთვის მიჩენილი ბინით და როგორც ყურის მეზობელი, სპორტლონისძიებათა სიპატიო სტუმარი იყო. მაგრამ იგი თანდათანობით გამსხვილდა, აზორგდა და გაფართოება სცადა... მაინცდამაინც სპორტული მოედნების ხარჯზე.

... და ერთ დღეს საჭიდაოდ მოსულმა ახალგაზრდებმა სარბიელი ველარ მოძებნეს. ბევრი ეძებეს, კომიტეტის თავმჯდომარეც მოიშველიეს და როგორც იყო იგი ახლადგავლებული ღობის იქით იპოვეს — ხე-ტყის გამსაღებელი ბაზის ტერიტორიაზე. იწყინა კომიტეტის ყოფილმა თავმჯდომარემ მირიან ხარატიშვილმა, სამართლის გზა მოძებნა და რაიონის ხელმძღვანელებს მიმართა. იგი დააიმედეს — საჭიდაო სარბიელი თქვენ, მის ირგვლივ მდებარე სხვა ტერიტორია კი სარეალიზაციო ბაზას. ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა კომიტეტის თავმჯდომარემ.

მაგრამ სარეალიზაციო ბაზის ხელმძღვანელი ალექსანდრე ნაკაიძე ვერ ისვენებდა. მას არ ყოფნიდა მიტაცებული. ახლა სტადიონს დაუმიზნა, რაიონის ხელმძღვანელებს სული ამოხადა და ბოლოს ალბათ საწადელსაც მიაღწევდა, რომ ისევ. ხარატიშვილს არ შეეშალა ხელი. სტადიონი დროებით დარჩა თავის უფლებებში. სამაგიეროდ ჯიუტი კომიტეტის თავმჯდომარე ვერ შერჩა ძველ ადგილს. მას ახალი სამსახური გამოუძებნეს, — საშუალო სკოლაში გადაიყვანეს ფიზაღზრდის მასწავლებლად, მის ადგილზე კი სარეალიზაციო ბაზის საწყობის გამგის ვახტანგ კალმახელიძის სიძე გივი გოგოლაძე დანიშნეს, რომელიც ხათრით თუ არასაკმაო პრინციპულობის გამო გულგრილად შეხვდა ყოვლისშემძლე ა. ნაკაიძის სტადიონის ხელში ჩაგდების ცდას.

რაიონის სპორტის მოყვარულთა გაკვირვებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა გაიგეს ქარელის რაიონის ხელმძღვანელთა გადაწყვეტილების შესახებ, რომ სტადიონი ხე-ტყის სარეალიზაციო ბაზას უნდა გადასცემოდა. თუმცა რაიაღმასკომში წინდახედულებაც გამოუჩენიათ და იქვე ჩაუწერიათ —ჯერ ახალი სტადიონი აგვიშენოს სარეალიზაციო ბაზამ და შემდეგ ძველი მათთვის მიგვირთმევიაო. რაიონული ცენტრიდან ხუთიოდე კილომეტრზე გამოყვეს მიწის ნაკვეთიც, აზომ-დაზომეს და... ვარგის სტადიონს მუშები შეუსიეს, რადგანაც რაიონის კომიტეტის თავმჯდომარე ამ ფაქტზე დამუნჯდა, ისევ „კოლმეურნის" რაისაბჭოს თავმჯდომარე, ალექსი კაბულაშვილი აყვირდა, დატრიალდა, სწრაფად მოირბინა რაიონის ყველა ხელმძღვანელი ორგანიზაცია, ყველა შეაწუხა, მაგრამ ამაოდ.

ასე იქცა ქარელის სტადიონი გაუთავებელი დავის საგნად. იქნებ რაიონში დაავიწყდათ, რომ კარზეა მომდგარი რესპუბლიკური სპარტაკიადა, რომელმაც უნდა გამოავლინოს ისინი, ვინც საქართველოს სპორტულ ღირსებას დაიცავენ საბჭოთა კავშირის ხალხთა II სპარტაკიადაზე. რატომ უსპობენ აქაურ ახალგაზრდებს წვრთნის საშუალებას? იქნებ სპორტული ბაზების გარეშე შეუძლიათ სპორტსმენების მომზადება.. თუ ეს ასეა, მაშინ კეთილი ინებონ და გაგვიზიარონ მათი ეს ძვირფასი „გამოცდილება".

**ო. გელაშვილი**

**მ. სინტარო**

## შეჯიბრება

გაწვიმდა შეჯიბრების დროს.
საშინელია!
შედებილ თმის ქვეშ
მიდიან წუთები.
მთელი მოედანი
სოოცრად სველია,
ბრწყინავენ
სპორტული
ქუდები.
რა ჩემპიონები
ხვდებიან ერთმანეთს?
დროშებმ
ღრუბლებს შედებეს თამაშით.
ბლავის საყვირები საშინლად
ღმერთმანი.
სენსაცია!
აქ შეჯიბრებაა..
ფუნთუშის ჭამაში.
ხელ-ფეხ დაბორკილებს
ბანდიტთა მსგავსად
სახეზე ეცემათ
წვეთები ხშირი,
მშიერი
მუშები
ილერენ თავსა;
სველ ფუნთუშს
იჭერენ პირით,
ცხვირით და ნიკაპით
იჭერენ ლუკმას,
კისერს იგრძელებენ
და ბოლმა ახველებთ,
წვიმა კი...
წვიმა კი
ურტყამს და
ურტყამს
დაღმეჭილ,
დაღარულ,
დატანჯულ სახეებს.
სავსეა მოედანი
თეატრის დარად,
იანკებითა და
შეღებილ ქალებით,
სვამენ კოკა-კოლას,
ლუდსა და
არაყს,
მერე ხითხითებენ
უზომო მთვრალები;
ჰა ერთი
დალლილი
(სუყველა უმზერს)
შებორკილ ხელ-ფეხით
ტალახში წაიქცა,
ვით ხოჭო.
საბრალო
დასმული ზურგზე,
ფართხალებს,
ფართხალებს,
ვერ დგება მაინცა.
ყაყანი,
სიცილი,
სტვენა და
ძახილი
იანკებს სიხარულს ანიჭებს ულევ...
მუშებს ეს სიცილი,
ისე ვით მახვილი,
უსერავთ
ბოლმისგან
ავსებულ
გულებს.

თარგმანი ვ. გოგოლაშვილისა და
დ. კაკაბაძისა.

იაპონია დიდი სპორტული ტრადიციების მქონე ქვეყანაა. მთელს მსოფლიოში ცნობილია იაპონელი მოჭიდავეები, ტანმოვარჯიშეები.. იაპონელთა ცხოვრების წესების ამერიკანიზაციის შემდეგ დეგრადაციის გზას დაადგა იაპონური სპორტიც. იაპონიაშიც დაიწყეს ამერიკული „სპორტული" შეჯიბრების კულტივირება. ეწყობა შეჯიბრება ფორთხვაში, ჭამაში, გადაფურთხებაში. ყოველივე ამის წინააღმდეგ ილაშქრებს ცნობილი იაპონელი პოეტი მაკი სინტარო თავისი ლექსით—„შეჯიბრება".

მაკი სინტარო წარმომადგენელია იაპონური ლიტერატურის პროგრესული ფრთისა, რომელიც „დემოკრატიული ლიტერატურის" სახელითაა ცნობილი. სანამ სახელს მოიხვეჭდა როგორც პოეტი, სინტარო, იაპონიაში იცნობდნენ როგორც კარგ სპორტსმენ-მოცურავეს.

თბილისის „დინამოს“ ზამთრის საცურაო აუზში ჩატარდა აზერბაიჯანისა და საქართველოს უძლიერეს მოცურავეთა სამატჩო შეხვედრა.

შეჯიბრებას მრავალრიცხოვანი მაყურებელი ესწრებოდა. ინტერესი ორი რესპუბლიკის მოცურავეთა ასპარეზობისადმი გაზარდა იმანაც, რომ გუნდურ ჩათვლაში მხოლოდ პირველი თანრიგის შედეგები შედიოდა. დებულების ამ პუნქტმა განაპირობა ის, რომ სპორტსმენები მაქსიმალური ძალით იბრძოდნენ მაღალი შედეგებისათვის.

შეჯიბრება გაიხსნა ქალთა ცურვით 100 მეტრზე თავისუფალი სტილით. წინასწარ გაცურვებში უძლიერესნი აღმოჩნდნენ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები რ. არკადიევა და ს. კალმიკოვა. ფინალური შეხვედრაც მათივე გამარჯვებით დამთავრდა, სადაც



ს უ რ ა თ ზ ე: რ. არკადიევა დისტანციაზე.
ფოტო მ. ზარგარიანისა.

გაიმარჯვა არკადიევამ, მაგრამ მის მიერ ფინალში ნაჩვენები დრო — 1.09,4 წინასწარ გაცურვაში ნაჩვენებ შედეგზე 0,1 წამით უარესი აღმოჩნდა. ფინალის დანარჩენმა მონაწილეებმა გუნდს ჩათვლითი ქულები ვერ მისცეს.

# საქართველო—აზერბაიჯანი

ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი მოცურავე, სპორტის ოსტატი ბ. ნიკიტინი ამჯერად მაყურებლის როლში იყო. ამიტომ ბრძოლა ვაჟთა შორის 100 მეტრზე თავისუფალი სტილით სტუმართათვის გაცილებით იოლი იყო. თანაბარ ბრძოლაში ბაქოელმა ვ. პრილიპკომ მხოლოდ უკანასკნელ მეტრებზე გაასწრო ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებს ჟ. კობეცკოის, ი. ბინიუკოვს და პირველი ადგილი გაინაღდა. მისი შედეგია 1.00,6. კობეცკოიმ და ბინიუკოვმა აჩვენეს ერთნაირი დრო — 1.01,4.

100 მეტრზე ზურგზე ცურვაში ვაჟთა შორის აზერბაიჯანელი ვ. კრავჩენკო ბოლო მეტრებამდე თავგამოდებით იბრძოდა, მაგრამ იძულებული იყო პირველობა თბილისელ ბ. კამენსკისათვის დაეთმო. ორივე სპორტსმენმა საკმაოდ მაღალი შედეგები აჩვენეს —1.09,3 და 1.09,7. ქალთა შორის ამ დისტანციაზე გამარჯვება წილად ხვდა საქართველოს გუნდის წევრს ე. შავდიას — 1.20,0.

200 მეტრზე ბრასით ცურვის ფინალში მხოლოდ საქართველოს გუნდის წარმომადგენელმა ლ. კრილოვამ შეძლო გუნდისათვის ჩასათვლელი ქულების მიცემა. მისი შედეგი 3.04,0 ახალი რესპუბლიკური მიღწევაა.

ვაჟთა შორის წინასწარ გაცურვებში მონაწილე 10 სპორტსმენიდან ვერც ერთმა ვერ აჩვენა პირველი თანრიგის ნორმატივი და მხოლოდ ფინალში გაცურა საქართველოს გუნდის წევრმა, საბჭოთა კავშირის შარშანდელმა ჩემპიონმა ა. ანტონიანმა მანძილი 2.47,9-ში.

200 მეტრზე დელფინის სტილით ცურვის ფინალში მხოლოდ აზერბაიჯანელები მოხვდნენ. საერთო ყურადღება მიიპყრო საბჭოთა კავშირის რეკორდსმენმა და ევროპის პირველობის მონაწილემ — ვ. ქენენკოვმა, რომელმაც თანაგუნდელ ი. ვორონინთან ბრძოლაში მხოლოდ ძლიერი ფინიშის მეშვეობით მიაღწია გამარჯვებას. მაგრამ მისი შედეგი არც თუ ისე მაღალია — 2.38,2.

400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვის ფინალში ქალთა შორის სტარტზე მარტო საქართველოს გუნდის წევრები რ. არკადიევა, ლ. სმირნოვა და ს. კალმიკოვა გამოვიდნენ. მათ ამავე თანმიმდევრობით გაინაწილეს ადგილები. გამარჯვებულის დროა 5.39,9. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ აუზში ასეთი შედეგი ჯერ არავის უჩვენებია.

ვაჟთა შორის ეს დისტანცია ყველაზე სწრაფად გაცურა აზერბაიჯანელმა პ. პეტროვმა (4.54,5). მეორე ადგილისათვის ბრძოლა გაიმართა თბილისელ რ. მეშჩეროვსა და აზერბაიჯანელ ვ. პრილიპკოს შორის. იგი პირველის გამარჯვებით დამთავრდა.

ესტაფეტები თავისუფალი სტილით 4×100 მეტრზე ქალებისათვის და 4×200-ზე ვაჟთათვის მოიგეს აზერბაიჯანელებმა. კომბინირებულ ესტაფეტაში ჩვენი რესპუბლიკის ქალთა გუნდმა რეკორდი აიღო. გამარჯვებულთა დროა 5.29,9.

უაღრესად დაძაბული გამოდგა შეჯიბრების უკანასკნელი სახეობა — ვაჟთა კომბინირებული ესტაფეტა.

პირველ ეტაპზე ბ. კამენსკიმ თითქმის 5 მეტრი მოუგო აზერბაიჯანელ ვ. კალიანდრას და ეს უპირატესობა ა. ანტონიანმა თავის ეტაპზე შეინარჩუნა. ნ. უმერენკომ (მესამე ეტაპი) წინა ეტაპებზე მოპოვებული წარმატება ვ. ქენენკოვთან ბრძოლაში დაკარგა და უკანასკნელ ეტაპზე ჟ. კობეცკოიმ სტარტი თავის მოწინააღმდეგე ე. სტრიჟაკოვზე გაცილებით გვიან აიღო. მიუხედავად ამისა, იგი უკანასკნელ მოსახვევზე წამოეწია მოწინააღმდეგეს. მისი გამარჯვება უკვე აღარ იწვევდა ეჭვს, მაგრამ სწორედ აქ, მოსახვევში მან ტემპი დაკარგა და სტრიჟაკოვი მისთვის მიუწვდომელი გახდა. გამარჯვებული გუნდის დროა 4.35,8. ოთხდღიანი ბრძოლის შედეგად საქართველოს გუნდმა დააგროვა 15.442 ქულა და მოიპოვა პირველი ადგილი.

ა. ბარნოვი

## ქალაქებსა და რაიონებში

## ქუთაისი

ქუთაისის მანქანათმშენებელ ქარხანაში ორ კვირას მიმდინარეობდა კონსტიტუციის დღისადმი მიძღვნილი შეჯიბრება ქარხნის პირად პირველობაზე მაგიდის ჩოგბურთსა და ტყვიით სროლაში, რომელშიც მონაწილეობდა ქარხნის 150-მდე მუშა. მაგიდის ჩოგბურთში ქალთა შორის პირველ ადგილზე გამოვიდა ტექნოლოგიური განყოფილების წარმომადგენელი ტ. ფილიპოვა, ვაჟთა შორის — ი. პრიენკოვი. ტყვიით სროლაში ქალთა შორის გაიმარჯვა დ. ბორტმანმა, ვაჟთა შორის — მექანიკური საამქროს მუშამ ა. დვალიშვილმა.

ო. კაკულია,
პ. ცხადაია.

## ზუგდიდი

ორ დღეს მიმდინარეობდა „კოლმეურნის“ ზუგდიდის რაისაბჭოს პირველი სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში იყო მძლეოსნობა, ველორბოლა, ფეხბურთი, ფრენბურთი, ტყვიით სროლა, ქართული ჭიდაობა და ლელობურთი.

საერთო გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს ცაიშელმა კოლმეურნე სპორტსმენებმა, რომლებმაც გაიმარჯვეს ყველა სახეობაში. მეორე ადგილზეა შამგონის ფიზკულტურის კოლექტივი.

ზ. ალშიბაია

## სიღნაღი

სიღნაღის „კოლმეურნის“ რაისაბჭომ ჩაატარა ფიზკულტურის საზოგადოებრივი ინსტრუქტორების მოსამზადებელი ხუთდღიანი სემინარი, რომელსაც 25 მსმენელი ესწრებოდა. ისინი ძირეულ კოლექტივებს დაუბრუნდნენ საზოგადოებრივი ინსტრუქტორების სახელწოდებით.

ნ. მღებრიევა

## მდგომარეობა XIII ტურის შემდეგ

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ო. იგნატიევა | 1 | ■ | 1/2 | 0 | 1/2 | 1 | 1/2 | 0 | 1 | 1/2 | 1/2 | 1/2 | • | • | | | | | | | | | |
| მ. ტოგონიძე | 2 | 1/2 | ■ | 0 | 0 | 1/2 | 1/2 | 1/2 | 1 | 0 | 1/2 | • | 1/2 | | | | | | | | | 1 | |
| ს. როოტარე | 3 | 1 | 1 | ■ | 1/2 | 0 | 0 | 1/2 | 1/2 | 1/2 | 1 | • | | | | | | | | | 1/2 | 1/2 | |
| ვ. ბორისენკო | 4 | 1/2 | 1 | 1/2 | ■ | 1/2 | 0 | 1 | 0 | 1 | • | | | | | | | | | 1/2 | 0 | 1/2 | |
| ვ. ტიხომიროვა | 5 | 0 | 1/2 | 1 | 1/2 | ■ | 1 | • | 1/2 | • | | | | | | | | | 0 | 0 | 1/2 | 0 | |
| ტ. ზატულოვსკაია | 6 | 1/2 | 1/2 | 1 | 1 | 0 | ■ | 1 | • | | | | | | | | | 0 | 1/2 | 1 | 1/2 | 1/2 | |
| ე. მალინოვა | 7 | 1 | 1/2 | 1/2 | 0 | • | 0 | ■ | | | | | | | | | 1/2 | 1/2 | 0 | 1/2 | 1/2 | 1 | |
| ტ. ფილანოვსკაია | 8 | 0 | 0 | 1/2 | 1 | 1/2 | • | | ■ | | | | | | | 1/2 | 1/2 | 0 | 0 | 1/2 | 0 | 1 | |
| ლ. იაკირი | 9 | 1/2 | 1 | 1/2 | 0 | • | | | | ■ | | | | | 1 | 1/2 | 1/2 | 0 | 0 | 1/2 | 1/2 | 0 | |
| ი. სტრანდსტრემი | 10 | 1/2 | 1/2 | 0 | • | | | | | | ■ | | | 0 | 1/2 | 0 | 1/2 | 0 | 0 | 1/2 | 0 | 1/2 | |
| ლ. ნისენბოიმი | 11 | 1/2 | • | • | | | | | | | | ■ | 1 | 1/2 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 1/2 | 0 | 1/2 | |
| ლ. რუბცოვა | 12 | • | 1/2 | | | | | | | | | 0 | ■ | 1/2 | 0 | 1 | 1/2 | 1 | 1/2 | 0 | 1/2 | 1 | |
| კ. ზვორიკინა | 13 | • | | | | | | | | | 1 | 1/2 | 1/2 | ■ | 1 | 1 | 1/2 | 1/2 | 1 | 1 | • | 1/2 | |
| გ. გოიჰენბერგი | 14 | | | | | | | | | 0 | 1/2 | 0 | 1 | 0 | ■ | 0 | 0 | 1/2 | 0 | 1 | 1/2 | • | |
| ვ. ჩაიკოვსკაია | 15 | | | | | | | | 1/2 | 1/2 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | ■ | 1/2 | 1 | 0 | 1/2 | • | | |
| ა. კუშნირი | 16 | | | | | | | 1/2 | 1/2 | 1/2 | 1/2 | 1 | 1/2 | 1/2 | 1 | 1/2 | ■ | • | 1/2 | • | | | |
| ე. ბიკოვა | 17 | | | | | | 1 | 1/2 | 1 | 1 | 1 | 1 | 0 | 1/2 | 1/2 | 0 | • | ■ | 1 | | | | |
| ნ. გაფრინდაშვილი | 18 | | | | | 1 | 1/2 | 1 | 1 | 1 | 1 | 0 | 1/2 | 0 | 1 | 1 | 1/2 | 0 | ■ | | | | |
| ე. კაკაბაძე | 19 | | | | 1/2 | 1 | 0 | 1/2 | 1/2 | 1/2 | 1/2 | 1/2 | 1 | 0 | 0 | 1/2 | • | | | ■ | | | |
| ლ. ვოლპერტი | 20 | | | 1/2 | 1 | 1/2 | 1/2 | 1/2 | 1 | 1/2 | 1 | 1 | 1/2 | • | 1/2 | • | | | | | ■ | | |
| ი. გურფინკელი | 21 | | 0 | 1/2 | 1/2 | 1 | 1/2 | 0 | 0 | 1 | 1/2 | 1/2 | 0 | 1/2 | • | | | | | | | ■ | |

შენიშვნა: უჯრედებში წერტილებით აღნიშნულია გადადებული პარტიები.

11 დეკემბერი, XIV ტური: იგნატიევა-გოიჰენბერგი, ტოგონიძე-ზვორიკინა, როოტარე-რუბცოვა, ბორისენკო-ნისენბოიმი, ტიხომიროვა-სტრანდსტრემი, ზატულოვსკაია-იაკირი, მალინოვა-ფილანოვსკაია, გურფინკელი-ჩაიკოვსკაია, ვოლპერტი-კუშნირი, კაკაბაძე-ბიკოვა. ისვენებს გაფრინდაშვილი.

12 დეკემბერი, XV ტური: ჩაიკოვსკაია-იგნატიევა, გოიჰენბერგი-ტოგონიძე, ზვორიკინა-როოტარე, რუბცოვა-ბორისენკო, ნისენბოიმი-ტიხომიროვა, სტრანდსტრემი-ზატულოვსკაია, იაკირი-მალინოვა, კუშნირი-გურფინკელი, ბიკოვა-ვოლპერტი, გაფრინდაშვილი-კაკაბაძე. ისვენებს ფილანოვსკაია.

13 დეკემბერი, გადადებული პარტიების დამთავრება.

## ხარკოვი, XX ჩემპიონატი

ხ ა რ კ ო ვ ი. (ჩვენი სპეც. კორ.). მე-12 ტურში გაფრინდაშვილმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა კუშნირთან, ზვორიკინამ — გურფინკელთან და ვოლპერტმა — გოიჰენბერგთან. ბორისენკომ კომბინაციურ თამაშში დაამარცხა იაკირი, ხოლო როოტარემ—სტრანდსტრემი. ზატულოვსკაიამ მოუგო მალინოვას. ყაიმი იქნა ფიქსირებული ტიხომიროვა-ფილანოვსკაიასა და ჩაიკოვსკაია-კაკაბაძის პარტიებში. დაუმთავრებელ პარტიებში რუბცოვას იგნატიევასთან და ნისენბოიმს — ტოგონიძესთან უპირატესობა აქვთ.

* * *

მე-13 ტურში ყურადღების ცენტრში იყო ბიკოვა-გაფრინდაშვილის პარტია. გაფრინდაშვილმა რთულ მდგომარეობაში უყურადღებოდ დატოვა მხედარი და წამოიწყო შეტევა მსოფლიო ჩემპიონის მეფეზე. ბიკოვამ მოიგერია იერიში და შეძლო მიტოვებული მხედრის მოგება. ამან პარტიის ბედი გადაწყვიტა ჰის სასარგებლოდ. ტოგონიძემ რუბცოვასთან მცირე კომბინაცია განახორციელა და მუდმივი ქიშით მიაღწია ყაიმს. დანარჩენი პარტიები გადაიდო. ზვორიკინას იგნატიევასთან საყაიმო მდგომარეობა აქვს, ვოლპერტს ჩაიკოვსკაიასთან — ზედმეტი პაიკი, ხოლო კუშნირს კაკაბაძესთან — პოზიციური უპირატესობა.

ამრიგად, მე-13 ტურის შემდეგ ნ. გაფრინდაშვილს 8,5 ქულა აქვს, კ. ზვორიკინასა და ლ. ვოლპერტს 7,5 ქულა თვითეულს და ორ-ორი გადადებული პარტია, ე. ბიკოვას 7,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია, ა. კუშნირს 6 ქულა და ორი გადადებული პარტია.

## შეასრულეს სათანრიგო ნორმატივები

„განთიადის“ სიღნაღის რაიონულმა საბჭომ ჩაატარა შეჯიბრებები ფრენბურთში, მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლასა და მძლეოსნობაში. ფრენბურთელთა შეჯიბრებაში პირველი ადგილი მოიპოვა უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის გუნდმა. მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლაში გუნდურ ჩათვლაში უძლიერესნი იყვნენ მედსანშრომის მუშაკთა პროფკავშირის სპორტსმენები. პირად პირველობაში ყველას აჯობა შ. ჩეკაშვილმა.

მძლეოსანთა შეხვედრებიდან კარგი მაჩვენებლები ჰქონდათ: 100 მეტრზე რბენაში, ყუმბარის ტყორცნასა და სიგრძეზე ხტომაში გ. გოგიაშვილსა და ა. გოგოხიაშვილს. ქალთა შორის ყუმბარის ტყორცნაში პირველი იყო ლ. დემუროვა, სიგრძეზე ხტომაში — დ. ტუხაშვილი.

შეჯიბრების პერიოდში 21-მა სპორტსმენმა აჩვენა მესამე თანრიგის შედეგი.

პ. ბექაშვილი

ლელო



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ გვწერენ

## განთავისუფლებენ თუ არა დარბაზს?

ყვარლის ფიზკულტურელები მაინცდამაინც არ არიან განებივრებული ზამთრის სპორტული ბაზებით. ერთადერთი სპორტული დარბაზი, რომელიც მე-2 საშუალო სკოლას ჰქონდა, გადაეცა ყვარლის სამშენებლო ორგანიზაციას, სადაც ხის სახერხი დანადგარი მოაწყვეს.

ყვარელში კარგა ხანია აცივდა და გაკვეთილების ჩატარება ღია ცისქვეშ შეუძლებელი გახდა. სკოლის დირექციის არაერთგზის მიმართვის მიუხედავად, დარბაზის განთავისუფლებას არავინ ფიქრობს.

**გ. გურასპაშვილი**

# გლადიატორები



„თქვენთვის არავითარი სამუშაო არ არის“, — ეს სიტყვები სამუდამოდ ჩაებეჭდა მას გონებაში. მთელი დღეებით ქუჩაში მოხეტიალე იონესკუ ერთხელ შევიდა საწვრთნელ დარბაზში და სიამოვნებით უცქერდა, თუ როგორ ჩხუბობდნენ ჯანმრთელნი და ძლიერნი.

ერთხელ მას თხოვეს თავისი ძალა ეცადა რინგზე. სასაცილოა არა? ხეიბარი რინგზე! იონესკუ ჩხუბობდა თავგამოდებით, უნდოდა დაემტკიცებინა, რომ იგი არაფიზე ნაკლები არ იყო. და მან მოიპოვა თავისი პირველი გამარჯვება. მაშინ სპორტის საქმოსნებმა იფიქრეს: რატომ არ შეიძლება ბიზნესის გაკეთება ამ დასახიჩრებულ ადამიანზე? განა ცუდი რეკლამაა?

17 ბრძოლა, 17 გამარჯვება. გაზეთები გაჰყვიროდნენ თუ როგორ იქცა ხეიბარი რინგის ვარსკვლავად. „ცალხელა ეშმაკი“ — აი მისი ახალი სპორტული სახელი. მენაჯერებს აუარებელი შემოსავალი აქვთ იონესკუდან. ცენტრალური რინგი სავსეა მაყურებლებით, როცა აქ „ცალხელა“ გამოდის. ჟორჟს ახსოვს ველური ბრბოს ღმუილი და ღვარძლიანი შეძახილები: „ცალხელა, ცალხელა!“. მან არაადამიანურ ბრძოლაში დაამარცხა სახელგანთქმული დანტე ბინი და ანდრე ვალინი.

... ეს მოხდა უეცრად. იონესკუმ იგრძნო, რომ იგი ბრმავდებოდა. ექიმებმა დაუყოვნებლივ დასვეს დიაგნოზი: „დაზიანებულია მარჯვენა თვალის ბადურა, მხედველობა უდრის ნულს. დაზიანებულია მარცხენა თვალიც. დარტყმები ცხვირის ძვალსა და თვალებს შუა, რომლებიც მან მიიღო რინგზე, საბედისწერო იყო. ამით დაამთავრა თავისი კარიერა მან, რომელსაც გაზეთები „ცალხელა ეშმაკს“ უწოდებდნენ.

და დაიწყო მწარე ცხოვრება უმუშევარი ხეიბრის, 29 წლის ინვალიდის ჟორჟ იონესკუსი.

ქანცგაწყვეტილი ადამიანი ძველ გაცვეთილ პალტოში, შავი სათვალით თვალზე დილაადრიან დადის შრომის ბირჟაზე და შემდეგ უმიზნოდ დახეტიალობს პარიზის ქუჩებში. იგი იხედება ყველაზე პატარა დუქნებსა და სახელოსნოებში. „თქვენთვის არ არის არავითარი სამუშაო“, ეს სიტყვები კვლავ გულშემზარავად ესმის პასუხად.

დასასრული. იხ. „ლელო“ № 147.

## „ნოკაუტი“

„რაც უფრო ხშირად ვიგონებ ამ ამბავს, მით უფრო ხშირად ვიმეორებ: შენ იბრძოდი მთელი მსოფლიოს რინგებზე, გეგონა, რომ ოქროს ბედი გელოდა, ნამდვილად კი ეს იყო კატორღა...“ ამ სიმღერას დაბალი ხმით მღერის პარიზის ერთ-ერთი რესტორნის ესტრადიდან მომღერალი ჟორჟ ულმარი. მის სიმღერას სტვენით ხმას აყოლებენ გასახდელში მყოფნი მოკრივეები, რომლებიც მორიგი ბრძოლებისათვის ემზადებიან.

„მე მიხურს თავი“ — გულშემზარავად ჟღერდა სიმღერის ეს სიტყვები. დაკუნთულმა ზანგმა, რომელსაც სახეზე დარდის გამომხატველი ნაოჭები აჩნდა, სწრაფი მოძრაობით გამოთიშა რადიომიმღები. წელიწადზე მეტი გავიდა მას შემდეგ. რაც იგი გაბრიელ ასაგა, გამოვიდა რინგზე და ამ დღემ, 1957 წლის 25 აპრილმა, სამუდამოდ დაჩრდილა მისი ყველა გამარჯვება, დაამხო მისი ნათელი მომავალი.

ორი წელიც არ ებრძოლა გაბრიელს პროფესიონალურ რინგზე და მცირე ხნის განმავლობაში მისი სახელი სწრაფად მოედო სპორტულ სამყაროს. „როგორც გრიგალი, ისე გამოჩნდა ასაგა პროფესიონალურ რინგებზე, მოკრივემოყვარულის ბრწყინვალე კარიერის შემდეგ“.

„ასაგამ თითქმის მოცელა თავისი პირველი 14 მეტოქე“. „აფრიკელი ასაგა მსოფლიო ჩემპიონობის ახალი პრეტენდენტი“ — ასე წერდა საფრანგეთის სპორტული პრესა.

გაბრიელ ასაგა კმაყოფილი იყო თავისი ბედით. მართალია, მას არ მოსწონდა მწვრთნელის ჟ. ბენაიმისა და მენაჯერ პენანერკის საქციელი, რომლებიც უბრალოდ რომ ვთქვათ, ძარცვავდნენ მას, მაგრამ გადაწყვიტა არ გაჯიუტებულიყო. ბოლოსდაბოლოს ეს ხალხი ხომ მას ჩემპიონობისათვის ამზადებდა. ერთიმეორეზე ატარებდა იგი ბრძოლებს საფრანგეთსა და მის საზღვრებს გარეთ. ეს კინოფირის კადრების გაელვებას უფრო გავდა, რომელსაც თავბრუდამხვევი სისწრაფით ატრიალებდნენ. აი, გაბრიელ ასაგა რინგზე... მძლავრი შეტევების სერია... განცვიფრებული მეტოქე [illegible] ბაგირებს... მაყურებელთა გამაყრუებელი [illegible]... კვლავ გზა...

და უეცრად ეს კინოფირი გაწყდა. გაბრიელმა ვერ გაუძლო. 1957 წლის თებერვალში იტალიელ მაცინგთან ბრძოლა მერვე რაუნდში ნოკაუტით წააგო.

გავიდა ორი თვე. ერთ-ერთი მატჩის შემდეგ გაბრიელი მოტოროლერით ბრუნდებოდა, არასასიამოვნო გრძნობებით დატვირთული, და ვერ შეამჩნია, რომ მისკენ საბარგო მანქანა მოჰქროდა. უეცრად მის წინ აღიმართა შავი სხეული თვალისმომჭრელი შუქით. გაბრიელის გონებაში გაიელვა უკანასკნელმა უცნაურმა ფიქრმა: „ნოკაუტი“!...

გაბრიელი გრძნობაზე საავადმყოფოში მოვიდა. „ჩემო ძვირფასო, — რამდენიმე დღის შემდეგ უთხრა მას ექიმმა. — შენ ნამდვილად იღბლიანი ხარ! ასეთ ავარიას გადაურჩე მხოლოდდამხოლოდ ტვინის შერყევითა და მცირე ჭრილობებით, ეს საოცარია“.

მეორე დღეს ბატონ პენანერკს ნება დართეს ენახა ავადმყოფი: „მისმინე გაბრიელ, — უთხრა მან, იმ დროს მოხდა ეს ისტორია, როცა ჩვენ გადავწყვიტეთ ანდრე დრილთან შეხვედრის მოწყობა. მისი გადადება შეუძლებელია, ამას მაყურებელი არ გვაპატიებს. ასე რომ, მოგიხდება ოდნავ დაუჩქარო. ექიმი შენთვის გამონახავს საშუალებას და მალე ფეხზე წამოდგები. ასე რომ, მხედველობაში მიიღე: ოცდახუთში უნდა გამოხვიდე დრილის წინააღმდეგ“.

გაბრიელს თვალთ დაუბნელდა. ნუთუ მას ერთი თვის დასვენების საშუალებასაც არ აძლევენ! უარი?.. მაგრამ, ქუჩაში რომ გააგდონ?... ისევ სჯობს ვცადო!

და გაბრიელმა სცადა. ათი დღის შემდეგ გამოეწერა საავადმყოფოდან. რამდენიმე დღის შემდეგ, 1957 წლის 25 აპრილის საღამოს, გაბრიელი რინგზე იდგა და ელოდა მატჩის დაწყებას. მას თავბრუ ესხმის. თავიც სტკივა. თითქოს ბურუსშიც კია. რვა რაუნდის განმავლობაში გაბრიელი უძლებდა მეტოქის შეტევებს. მეცხრე რაუნდში კი ჩაიკეცა. მხოლოდ შემდგომ რაუნდში დამთავრდა ეს საშინელება — მსაჯებმა ანდრე დრილის ერთხმად მიანიჭეს გამარჯვება.

ამას წინათ პარიზის ერთ-ერთ საოლქო სასამართლოში აღძრულ იქნა მორიგი საქმე პროფესიონალ-მოკრივესა და მის მენაჯერს შორის. მოსარჩლე — 25 წლის გაბრიელ ასაგა. მოპასუხენი — მენაჯერები ბენაიმი და პენანერკი. საფრანგეთის კრივის სამყარომ სკეპტიკურად მიიღო ეს ცნობა: ნუთუ ბრმა ნოლეს ბედი საკმარისად მჭევრმეტყველი არაა?

**ა. გრიგორიევი.**
**ა. გურკოვი.**

„სოვეტსკი სპორტი“.



თბილისის მე-4 საშუალო სკოლის მოსწავლე ვ. ადამაშვილი ნიჭიერი ტანმოვარჯიშეა. იგი დინამოელია.

სურათზე: ვ. ადამაშვილი მორიგ ვარჯიშის დროს.

ფოტო დ. იაკობაშვილისა.

## ევროპის საფეხბურთო მინდვრებზე

### უნგრეთი

უნგრეთის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის სენსაციას წარმოადგენდა ერთ-ერთი ლიდერის „ფერენცვაროშის“ კატასტროფული დამარცხება „ტატაბანიასთან“ მატჩში. აღსანიშნავია, რომ „ტატაბანიამ“ ზედიზედ მოიგო 4 თამაში, მათ შორის ეს უკანასკნელი („ფერენცვაროშთან“) ანგარიშით 5:0.

10 ტურის შემდეგ წინაა მ ტ კ — 16 ქულა. მომდევნო ადგილებზე არიან: „ვაშაში“ — 15 ქულა, „დოჟა“ — 13 ქულა.

### ინგლისი

ინგლისის ლიდერმა „არსენალმა“ მე-19 ტურში მოულოდნელად წააგო მატჩი „ბლეკპულთან“ ანგარიშით 1:4, ხოლო „ბოლტონ უონდერერსმა“ მოუგო „პორტსმუტს“ — 2:1.

ამჟამად ჩემპიონატს სათავეში უდგანან „არსენალი“ და „ბოლტონ უონდერერსი“ — 25 ქულა თვითეულს. „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“ მესამე ადგილზეა „პრესტონთან“ ერთად — 24 ქულა.

## ისინი გვესტუმრებიან ჩვენ

ჩვენს ქვეყანაში სტუმრად იმყოფება შვეციის ნაკრები გუნდი კლასიკურ ჭიდაობაში, რომელიც რამდენიმე ამხანაგურ შეხვედრას ჩაატარებს საბჭოთა გუნდებთან. შვედი მოჭიდავეები პირველ შეხვედრას გამართავენ დღეს მოსკოვში სსრ კავშირის ნაკრებ გუნდთან. სტუმრები შეჯიბრებაზე ასეთი შემადგენლობით გამოვლენ: კარლ ანდერსენი, ედვინ ვესტერბიუ, კურტ იუჰანესენი, გუსტავ ფრეი, ჰანს ანტონსონი, რუნე იანსონი და სხვ. სსრ კავშირის ნაკრების სახელს დაიცავენ ე. საიადოვი, ე. სვირიდოვი, ვ. სტაშკევიჩი, ი. კორშუნოვი, გ. გამარნიკი, ვ. რეკოვი, ა. ტკაჩოვი და ი. ბოგდანი.

შვეციის მოჭიდავენი ერთ-ერთი უძლიერესნი არიან მსოფლიოში. კლასიკური ჭიდაობა ამ ქვეყნის მოსახლეობაში დიდი პოპულარობით სარგებლობს და ამიტომაა, რომ აქაურ მოჭიდავეებს კარგად იცნობენ მთელს მსოფლიოში. განსაკუთრებული წარმატება ხვდათ წილად შვედ მოჭიდავეებს 1948 წლის ოლიმპიურ თამაშებზე, სადაც მათ 5 ოქროს მედალი მოიპოვეს. მომდევნო წლებში, როცა მსოფლიო მასშტაბის შეჯიბრებებში გამოვიდნენ საბჭოთა და დემოკრატიის ქვეყნები, შვეციამ დათმო თავისი წამყვანი პოზიციები, რასაც ჭიდაობის სპეციალისტები შვედ სპორტსმენთა ჭიდაობის პასიურ ტაქტიკას მიაწერენ. მაგრამ მიუხედავად ამისა, ეს გუნდი დღეისათვის მეტად ძლიერ ძალას წარმოადგენს.

უკანასკნელ ოლიმპიურ თამაშებში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი მჩატე წონის მოჭიდავე ვესტერბიუმ, რომელმაც დაამარცხა ყველა მოწინააღმდეგე და მხოლოდ ფინალში წააგო საბჭოთა სპორტსმენ კ. ვირუპაევთან. ამ გუნდის დანარჩენმა წევრებმა მოიპოვეს 4 საპრიზო ადგილი. დიდ ინტერესს იწვევს ე. ვესტერბიუს შეხვედრები უძლიერეს საბჭოთა მოჭიდავეებთან.

შვეციის მოჭიდავეთა ოსტატობას ნახავენ თბილისელი სპორტის მოყვარულებიც. 16 დეკემბერს სახელმწიფო ცირკის სარბიელზე ერთმანეთს შეხვდებიან შვეციისა და საქართველოს ნაკრები გუნდები. ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას დაიცავენ რ. ძნელაძე, გ. ჩიტიაშვილი, მ. ლუდუშაური, ა. ქორიძე, დ. გვანცელაძე, გ. სინაურიძე, რ. აბაშიძე და ო. კანდელაკი.


16 დეკემბერი 16

თბილისის სახ. ცირკი

საერთაშორისო შეხვედრა კლასიკურ ჭიდაობაში

შვეცია — საქართველო

დასაწყისი 20 საათზე.


რედაქტორი ი. უგულავა.

12 დეკემბერს ა. ჯაფარიძის სახელობის ალპურ კლუბში საჯარო სხდომაზე მოსმენილ იქნება საანგარიშო მოხსენება:

„დასავლეთ შხარაზე ასვლა სამხრეთის კედლით“. მომხსენებელი ა. კაპანაძე.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის: თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის—3-89-62. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34.



საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 07259